ინფორმაცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მესამე თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია საქალაქო სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს:
მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას, სასამართლოს საქმეების გაცნობას და ა. შ.

2025 წლის განმავლობაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა „ 35 " განცხადება, მათ შორის:

მოქალაქის განცხადება - 20
ორგანიზაციის განცხადება - 8
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის - 4
საქართველოს არბიტრთა ასოციაცია - 1
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო - 1
საქარტველოს იუსტიციის სამინისტრო - 1

შემოსული განცხადებებიდან ,,11" მოთხოვნა დაკმაყოფილდა; ,,5" ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ,,19" არ დაკმაყოფილდა;

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგი საჯარო მოსამსახურის მიერ:
მარიანა გახოკიძე - 2016 წლის 01 სექტემბრიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოში საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში არ შემოსულა. საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით საჩივარი არ შემოსულა.

საანგარიშო პერიოდში საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი,

კანცელარიისა და მოქალაქეთა
მისაღები განყოფილების უფროს Mariana Gakhokidze 61001032345 Digitally signed by Mariana Gakhokidze Date: 2025.12.10 12:30:30 **არიანა გახოკიძე**